ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 11. ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

2067

შესანიშნავი სურათები.

მაჰმადი უდაბნოში—ე. სტაბიორსკის.

ილიას ხსოვნას.

—

კავკასის მთებსა, დათრთვილულებსა,
შავი ღრუბლები ეფინებოდა,
ღისკა შემორტყმულ პირბადარ მთვარესა,
ვარსკვლავთა გუნდი მოსჯარებოდა.

ალაზნის ველი გაჰყუჩებოდა
ცისა სინაზეს, მთისა კალთებში,
მჩქეფი მდინარე ბარისკენ რბოდა
და დასძახოდა სიმღერას მთებში.

მყის გადმოჩერდა აჩრდილი ქედზე,
მძლავრი, გოროზი, განრისხებული,
ცეცხლთ-მოელვარე, ნათელით შუბლზე,
დასჭექდა ველსა გამწარებული:

„იყავი წყეულ, წყეულიმაც იყავ,
ვინცა მგოსანსა შეახო ხელი,
იყავი წყეულ, ვინც მის ჭალარა
სისხლით შეღება... მოუსპო დღენი“!..

მისწყდა მჭექი ხმა და მიეფარა
მძლავრი აჩრდილი, ცისა წიაღში,
მთამ დაიკვნესა, ველმა დაჰგმინა,
დაჰღმუვლა ქარმა მოღუშულ მთაში.

აღელდა ველი, ჰკვნესის ტყე და მთა,
ელვა ელვასა ეჯახებოდა,
თითქოს სამშობლო ველ-მთიანთა
განგმირულ მგოსანს დაჰქვითინებდა!

შალვა ქართველიშვილი.

ცხოვრების გზა.

ხალხი დასაბამიდან ამიერამდე სცხოვრობდა, ბევრს, ძლიერ ბევრ გაჭირვებას განიცდიდა იგი, ბევრ რასმე იტანდა მთელი თავის სიცოცხლის—ცხოვრების განმავლობაში... ბევრი აუტანელი აიტანა და ბევრიც—ელოდება კიდევ... მაგრამ—მაინც ცხოვრობდა და ცხოვრობს... ირგვლივ გაჭირვების, სიმშილის და მონობა-ჩაგვრის სუნია და ეხლაც სწამლავს ჰაერს...

კვლავ გადიოდა დრო. ხალხი ვიწროვდებოდა. გაჭირვებას გაჭირვება ემატებოდა... მაგრამ მაინც სცხოვრობდა ხალხი და, ყურმოჭრილ ყმასავით, ბრმათ ემორჩილებოდა ბედისწერას... ეგონა ჩვენ ამ ქვეყნათ მარტოოდენ წვალებისათვის ვართ გაჩენილნო... ქვეყნის დარაჯები— სულთამხუთავები, ერთგულად ემსახურებოდენ ქვეყანას: არავითარ საწინააღმდეგო ხმას, არავითარ პროტესტს, ბედის სამდურავს და გაჩენის დღის წყევლა-კრულვასაც კი უშლიდენ ხალხს...

ხალხს ტკივილები ემატებოდა... ზოგი გრძნობდა ყველა ამას, მაგრამ, გაჩუმებული, ხმას ვერ იღებდა,—ეშინოდა; ზოგი ჩუმად, მითქმა-მოთქმიდ ლაპარაკობდა და უჩიოდა ბედს; ზოგი,—ღვთის ნებად, ღმერთის სურვალად რაცხდა ყველა ამას და ამის შესახებ ფიქრიც ღვთის უარყოფად მიაჩნდა...

მაგრამ, ნესტარ დაკრულსავით იფეთქა ზოგიერთთა აზრმა, უკმაყოფილებამ...

...საშველს, სახსარს მიაგნეს!..

მათ ვერ მოითმინეს ყველა ეს, აუტანელი პირობები, ჯოჯოხეთის მსგავსი ცხოვრება და განაცხადეს უკმაყოფილება.

ამ დროს გამოვიდნენ სულის ცხონების მოციქულნი, ერთგულნი და ზნეობრივი დედა-ბოძნი ძველი ქვეყნისა, და დაჰგმეს მათი უკმაყოფილება... საუკუნოებრივ კრულვას და ღვთის რისხვას ასხამდენ უკმაყოფილოთ... ხალხს მოთმინებას ურჩევდენ და მომავალ, არა მიწიერ, არამედ ზეციერ სასუფეველზე უთითებდნენ...

მაგრამ გადიოდა დრო. წყლულები ივსებოდა, უკმაყოფალოთა რაზმს ემატებოდა. იმათ უკვე ჰპოვეს სახსარი თავისდაცვისა, თავის შენახვისა,—მალამოდ გახდა,— ახალი ქვეყანა... იქ, მათზე მოშორებით, შორს, მშვენიერი, ნეტარი ქვეყანა იყო... სრულებით არ გავდა აქაურს... მშვენიერი ედემი იყო... მაგრამ ძნელი, ძლიერ ძნელი მისაწდომი და მისასვლელი იყო იგი... წვალება და ვაი-ვაგლახი უნდოდა მის მიღწევას.

ხალხი შეჩოჩქოლდა... წინ წადგა ერთი მათგანი—ჭაბუკი და ურჩია ხალხს დატოვება ძველი ადგილისა—ცხოვრებისა და ახლის საძიებლად გამგზავრება... და, დასახელების შემდეგ, აუწერა განზრახულ ქვეყნის ავ-კარგიანობა...

— ოო, რა მშვენიერებაა! ნუ თუ ყველა ეს, რაც აქ გვაწუხებს, გვტანჯავს და ... გვამშვენ... იქ არ იქნება? ამბობდენ ...

— მაშ ეგ ხომ სამოთხე იქნება? მაგას ხომ საღვთო წერილი გვასწავლის,—რო მიწიერი აღსასრული შეიყვანს ხალხს სანეტარო სასუფეველშიო...

ზოგიერთებმა, უფრო მომეტებულად ჭაბუკებმა, ჯანღონით სავსე ახალგაზდებმა, გადასწყვიტეს ახალი ქვეყნის ძიება და დამკვიდრება მასზე. . ბევრი შეშინდა... ბევრი ისევ ძველს, დამყაყებულ და ათას ჭირვარამით აღსავსე ცხოვრებას—ქვეყანას მიეკედლა და, მიუხედავათ მრავალგვარ სიმწარისა, რომელსაც ეს უკანასკნელი ასმევდა მათ,—მაინც ვერ გაბედეს მოშორება. თუმცა გრძნობდენ ყველა ამას... ბევრმა საშინელი პროტესტი განაცხადა,—ამ ღვთისა და კაცის საწინააღმდეგო საქმეზე... ბევრს არ სჯეროდა: უნაყოფოთ, ყმაწვილების მოგონილ და უბრალო თავის მოტყუილებად სთვლიდა ამ რჩევას... ბევრი სასაცილოდაც იგდებდა... და ასე, ამ რიგათ ისევ ძველ ქვეყნის საზღვრებს ეკედლებოდნენ.

გამგზავრების მსურველი მცირე იყო...

ამ დროს კვლავ ისევ გამოდიოდენ, სულიერი ადამიანების სახით მოვლენილები და ნამდვილათ კი, მგლები ცხვრის ტყავში, და ოავიანთ სწავლით კიცხავდნენ ახალ მოგონილებას, ათაყვანებდენ ძველ ქვეყანას და ხალხს მოთმინების შედეგად ნეტარ სასუფეველს პირდებოდენ...

უკუაგდო, არ აქცევდა ამ ყალბ ქადაგებას ყურს ახალ ქვეყნის მაძიებელთა ჯგუფი.... და გამგზავრების თადარიგს შეუდგა...

კვალად გასცეს ბრძანება ქვეყნის სულთამხუთავებმა თავიანთ დარაჯებს, თვალყური ადევნონ ყოველ წამსვლელს,—თუ საით მიდის... არ გაუშვან, შეუკრან გზა ახალი ქვეყნისაკენ!.. სასტიკათ დასაჯონ უკმაყოფილონი!..

...მცირე რაზნი მაძიებელთა დაადგა ახალ ქვეყნის გზას... ბევრი, ძლიერ ბევრი წვალება გამოიარეს მაგრამ სძლიეს უძლეველი და... გავიდნენ.

მიდიან... საშინელი, ძნელი, შორი გზაა აღთქმის ქვეყნამდე... მაგრამ ისინი მაინც გაბედულათ, უშიშრათ და მედგრად მიდიან... ეკლებით, ჭინჭრებით მოფენილია გზა სიკეთისა... გადუვალი მთები, ღრეები და კლდეებია გადასასვლელი ... უშველებელი თვალგადუწვდენელი ტბები და ზღვებია გასავლელი...

ყოველ სიძნელეთაგან უძნელესია იგი... მაგრამ ისინი მაინც მიდიან... ბევრი მათგანი დაეცა ამ ძიების დროს, ბევრი მადგანი შთაინთქა უფსკრულში, სამუდამოდ გამოეთხოვა ძველსაც და ახალსაც... ბევრი გახდა მსხვერპლი ამ დიად სიძნელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა... მაგრამ გმირები არ ეცემიან სულით... ცოტავდებიან, მაგრამ მაინც მედგრათ მიდიან წინ...

მათ ტკბილი სიმართლის ხმა მოესმით შორიდან... ნეტარი, მომჯადოებელი ძალა იწვევს მათ ახალ ცხოვრებისაკენ...

რამდენადაც მცირდებიან, იმდენად უფრო გულმოდგინეთ და თავგამოდებით მისდევენ ამ რთულ გზას—უკუაგდებენ ძველ ცხოვრებას და ჭეშმარიტების—თავისუფალ ქვეყნისაკენ მიისწრაფვიან...

ამ რაზმს ემატება კიდევ სხვა რაზმი,—შევიწროებულთა და ძველ ცხოვრებისაგან გამოქცეულთა...

———

აქ კი... ამ ქვეყნად... ხალხი დრტვინავს... სხეული ესერება წყლულებისაგან და, ჩირქმოცხებული, ბევრი გარბის... ეთიშება ამ სოფელს და მიდის იქ... გმირებთან შესაერთებლად...

ისინი კი სულ წინ იწევენ... გზა მაინც შორია და ძნელი... გადიოდა დრო და ჟამი. შეწუხდა, აბობოქრდა ხალხი. ბევრმა შეიგნო და განახლებიკენ მიეშურება... ცხოვრება ამ ძველ ქვეყანაში აუტანელი შეიქმნა... ახლა კი სავსებით იგრძნეს სიმძიმე თავიანთ მდგომარეობისა და ყველამ, დიდმა და პატარამ... მთელმა შევიწროებულმა და დაჩაგრულმა ხალხმა გადასწყვიტა წასვლა... მათ უკუაგდეს ყველაფერი... საშინელი პროტესტი განუცხადეს ყველას... აღარ ათხოვეს ყური ყალბ მქადაგებლებს—სულიერ ადამიანებს... და, შეწუხებულებმა, გადასწყვიტეს ან აქ სიკვდილი, ან წინ წასვლა...

...აქნობამდე თუ მცირე იყო რაზმი ეხლა იგი გამრავლდა. აუარებელი იყო მსხვერპლი, მაგრამ აუარებელი, ურიცხვი ხალხიც ემატებოდა...

მიდიან ყველა... აქ შეხვდებით მამაკაცსაც, დედაკაცსაც, დიდს, პატარას, მოხუცს, ახალგაზრდას. . ყველას ერთი აზრი იტაცებს იქით...

...უვალია და საშიში, შორი და მძიმეა გზა მათი...

ისინი მაინც მიდიან... ბევრი იღუპება ამ გზაზე... ზოგი პირველ ნაბიჯის შემდეგვე... ბევრი დასახიჩრებული, დაკოდილი, კვლავ განაგრძობს წინსვლას... ბევრი შთაინთქა... ბევრი შთაინთქა... მაგრამ ვერავითარი მსხვერპლი ვერ იკავებს აზრს, მისწრაფებას...

აუარებელია ეხლა, ურიცხვია რაზმი, მთელი ხალხია თავგანწირულთა... მთელი გზა გმირებითაა მოფენილი... ყველას იმედის სხივი უღვივის გულში და მედგრათ მიისწრაფის ახალ ცხოვრებისაკენ...

არ ზოგავენ თავს, გასაჭირთა გასაჭირს სძლევენ და იქ, შორს, ნეტარების ქვეყანაში შესვლის სურვილით აღჭურვილნი—კვლავ შეუჩერებლივ განაგრძობენ წინსვლას. .

და მიდიან... სულ მიდიან!!.

ი. ტასოშვილი.

მის სხივებს ვენაცვალები!

კვლავ ილრუბლება სამყარო,
მთვარეც დამალვას აპირებს,
ელვაც ანათებს კუთხეებს
და მეხიც დაიგრიალებს.
სამყარო აღარა შიშობს,
თითქო ხარობდეს ამასა,
ყველა გარბის და გამორბის,
მოელის დიად ამბავსა.
დედები დროშას ქარგავენ,
თოფებს ჰფერავენ კაცები,
ელვაც ანათებს მიდამოს,
მის სხივებს ვენაცვალები!

საშა გოთოშია.

არ შეიძლება ერთი პროტექცია გამიკეთოთ?

(ჩინოვნიკის სათხოვარი).

...ასტავნოი, ნადვორნი სოვეტნიკი გახლავარ. სტანისლავაცა მაქვს ყელისა, მაგრამ არ ვიკეთებ. მაგეებს უწინდელი გასავალი აღარა აქვს. სამაგიეროდ, ორიოდე გროში პენსია რომ მეძლევა, იმას დაედო ახლა ფასი.

ეგ ერთობის დროს გამოჩნდა, როცა ვეება მამულის და ქარვასლის პატრონებს გროში-კაპეიკი არ შემოსდიოდათ, მე კი ვიღებდი ჩემთვის პენსიას ყოველ თვე უკლებლივ.

ერთი ქოხიცა მაქვს, ჩემი ალალი თეთრით შეძენილი. რაც უნდა იყოს, თავზე საკუთარი ჭერი ხომ მხურავს. ცოტაოდენი ქირიდანაც მრჩება... ჩვენში კი იყოს.

მაგრამ რომელი პენსია და რომელი სახლის შემოსავალი ეყოფოდა ჩემს გაუმაძღარ ოჯახს, მე რომ არ გავრჯილიყავ და აქა-იქ სარჩო არ მეშოვნა!? არზებსა ვწერ, საქმეებს ვიღებ, დავდივარ სუდში, უპრავაში, პოლიციაში, ბანკში, ნოტარიუსში, —ვჩალიშობ რაღა...

ხუმბრობა კი ნუ გგონიათ ოთხი სულის შენახვა: ცოლისა და სამი გასათხოვარი ქალისა.

რაც მე მაგ სამი ქალის გამოზდაში ხარჯი ვნახე, იმ ფასით ერთი კაი ნასწავლი პროფესორი გამოიზდებოდა. მაგრამ რა გამოვიდა! რის მაქნისია გიმნაზიაში კურს-დასრულებული ქალი? —უჩიტლობის მეტი არა შეუძლიან რა. მართალია, საპატიო ხელობაა, მაგრამ მოგებით ზოგჯერ გამდლობა სჯობია.

ჩემმა ქალებმაც გაათავეს გიმნაზია და, შელავათი კი არა, ხარჯი მომემატა: მარტო მაგათ პოლსაპოშკებსა და აბრეშუმის იუბკებს ჩემი პენსია არა ჰყოფნის!

ვაი გასათხოვარ ქალის პატრონის ბრალი, ახლანდელ დროში, რომ ვერც შეუნახავს და ვერც გაუთხოვია!

ვის უნდა, ვინ შეირთავს ქართველ ქალს?— ვინც რიგიანი ქართველი ყმაწვილი კაცია, უმზითვოდ ცოლს არ ირთავს, ან და რუსსა და უცხო ქვეყნის ქალს ეძებს. რუსი იწუნებს: რად მინდა უზდელი, ბედოვლათი და უღაური ქართველიო. სომეხი ხომ ხასად თუ დაისვამს ქართველ ქალს, თორემ ცოლად თავის დღეში არ აიყვანს.

კარგია კიდევ, რომ სტუდენტებს არ უშლიან ცოლის შერთვას. ეგღა დარჩათ იმედად ჩვენს გასათხოვარ ქალებს.

წრეულს, სახლობა რომ სოფელში მყვანდა დაჩაზე, ჩემმა უფროსმა ქალმა ერთი მაგისთანა „ჟენიხი“ იშოვა.

საუცხოვო ყმაწვილი კაცია, მეორე კურსის იურისტი. რომ ნახოთ, თქვენც მოგეწონებათ. მამა იმერეთში ჰყავს, კაი შეძლებული ბლაღოჩინი. მართალია, სოციალ-დემოკრატია, მაგრამ ძრიელ პატიოსანი ვაჟია. ასე ამბობს თუ: სანამ ჩემსა და ჩემი ცოლის სარჩოს არ ვიშოვი, ჯვარს არ დავიწერო.

თავმომწონე ყმაწვილი კაცია, ცხოვრებისა არა გაეგება რა, იმიტომ ადვილი ჰგონია სარჩოს შოვნა. სად უნდა იშოვნოს, თუ კი თითონ არა აქვს რა, მშობლებიც არას აძლევენ და არც ცოლის შერთვას ანებებენ.

მეც ჩემი შვილი მებრალება. საფიქრებელი გამიხდა, ვაი, თუ ქორწილი ჩაიშალოს-მეთქი.

ახლა ის ყმაწვილი მეუბნება: „ერთი სტიპენდია უნდა მიშოვოო. რასაც მამა ჩემი მიგზავნის ის ჩემს სარჩენად მეყოფო, და სტიპენდიით კი ცოლს შევინახავო“.

— თუ ადვილი საშოვნელი ყოფილიყო-მეთქი, იმ სტიპენდიაზე, მგონია, არც მამა შენი იტყოდა უარს და აქამდის გიშოვიდა კიდეც. აბა, სად გიშოვო, შვილო, სტიპენდია?

— ეგ შენი საქმეა. საცა გინდა მიშოვე, მე ველარ მოვითმენო. წადი სარაჯიშვილსა სთხოვე, ზუბალაშვილებსა, თავად-აზნაურობას, — რა ვიცი.

— ყმაწვილო, შენ სულ იმას იძახი, ბურჟუა და ფეოდალები ძირიანად უნდა ამოვაგდოთო და ახლა იმათთანვე მგზავნი? უნდა მივიდე, ვთხოვო, სტიპენდია მომეცით, რომ თქვენი ამომწყვეტელი გამოვზარდოო?... ეგ რა პატიოსნებაა!

გაეცინა: „აქ პატიოსნება რა შუაშია? აქ კლასთა ბრძოლაა და ბრძოლაში მტრის დასამარცხებლად ყველა ღონე კარგია. მე რომ მტერს მისივე იარაღით ვძლიო, მაგას რა ემჯობინება? ეგ ჩვენს ტაქტიკას არ ეწინააღმდეგებაო“.

სწორეთ გითხრა, ეგ სიტყვა ჭკუაში დამიჯდა.

მართლა-და, რაო, — თუ სტუდენტი, ვოქვათ, სარაჯიშვილის სტიპენდიანტია, განა უთუოდ ბურჟუა-ფედერალისტი უნდა იყოს? ან ვისაც თავად-აზნაურობის სტიპენდია ეძლევა, სულ ფეოდალი— ავტონომისტები არიან?

იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენიც სარაჯიშვილის და თავად-აზნაურობის ხარჯით სოციალ-დემოკრატი გამოზდილა!

სიმართლითაც ეგრეა. ბურჟუებისა და ფეოდალების სიმდიდრე, ხალხის ოფლით მოგებული, ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს. ჩემი ქალის „ჟენიხი„,

ინგლის-რუსეთის პოლიტიკა სპარსეთში.

ჭირადი ინტერესების დაცვა.

საერთო ინტერესები.

საბრალო სპარსეთი?

რადგან სოციალ-დემოკრატია, ხალხის შვილია და მაშ, ბურჟუების და ფეოდალების ფულში იმასაც ექნება წილი. ახლა თქვენ გასინჯეთ, ერგება თუ არა ჩემს სასიძოს სტიპენდია?

წავედი სტიპენდიის საძებრად.

სარაჯიშვილის ზავოდში ვიყავი, ნიკო ცხვედაძეც ვნახე. მითხრეს: ვაკანსია არ არისო. დეპუტაციკი სობრანიაშიც მივედი, მარშალსა ვთხოვე, პავლუშა თუმანოვსაც, კომისიის წევრებიც მოვნახე, ყველას შევეხვეწე. მითხრეს თუ, ფული აღარა გვაქვსო.

მინდოდა მანთაშოვის კანტორაში მივსულიყავ,—იქაც იძლევიან თურმე სტიპენდიებს,—მაგრამ ჩემმა სასიძომ დამიშალა: სომეხს თუ გამოართვი სტიპენდია, ეგ სხვის ცხოვრების დაჩაგვრა იქნება, შოვინიზმიო. ქართველი ბურჟუები და ფეოდალები, თუ ნამდვილი ნაციონალისტები არიან, სტიპენდიაც იმათ უნდი მაძლიონ მე, როგორც ქართველსაო.

არ ვიცი ახლა რა ვქნა. რა თქმა უნდა, რომ სარაჯიშვილსა და თავად-აზნაურობასაც ისე არ შემოჰკლებიათ ფული, რომ ერთი სტიპენდიის საძყოფი არ დარჩენოდეთ. მაგრამ მარტო ჩემის თხოვნით რას გავხდები? აქაც პროტექციაა საჭირო.

ახლა თქვენზე მომასწავლეს, ვითომც თქვენ ადვილათ შეგეძლოთ სტიპენდიის შოვნა ჩემი ქალის „უნიხისათვის“. თქვენ დავით ზახარიჩთან და მარშალთანაც დაახლოვებული ბრძანდებით, არ იქნება ერთი პროტექცია გამიკეთოთ?...

რიშ ბაბა.

კადეტთა შორის.

დროა მოვშორდე,, თორე მარცხნისკენ
იწევს ოხერი კადეტი ვირი,
მას არ გავყვები და მარჯვნივ მხარეო,
დაჰკრამს დასძახებს ჩემი საყვირი!

მწყერობა.

ინათა... კარგი დარია... წამოვარდა ბებერ ნაკაშიძე. გეიკეთა ხელსამფრე... ჩამოიღო ბოლოკი ნაჭერი და მიადგა ქანდარაზე მიმინოს. ოჰ! ოხ, ოხ, ხო-ო და მიუწუნწრუქა... რავა დოუწმენდია, გენაცვალე საყვარელო,—რა კარგ გუნებაზეა ამ დილას!. დეისვა ხელზე; მშენიერი სანახავია სანადიროდ გაწყობილი მიმინო, თითქოს არშიყობსო, უხსენებელივით აქიცინებდა თავს, ხან მარცხენა და ხან მარჯვენა ეჟვნიან ფეხს ჟრიალით ისწორებდა...

კესარიმ მოუტანა ჩანთაი საგზლით.

— აჰ! გიშერა, აჰ! აპა!!

გაჩნდა რუხვი მეძებარი—მონადირის ერთადერთი მეგობარი.. გაშმგებული სიხარულისაგან ხტოდა ცმუკავდა.. ახსენა ღმერთი და გაუდგა, ეწერში რომ დიდი „გაშობილაია“...

შუკაში მეორე თოფით მონადირე სევასტიე შეხვდა მეძებარი „კურნოსაით“

— გამარჯობა, კაი ხვავი ბატონის-შვილო! საით მიბრძანდებით?!

— აგერ მივალ გაშობილაში!

— გაშობილაში კი არა ჩოლოქის პირშა თურმე პანტასავით ყრია მწყერი..

— მერე შენ რას უყურებ?

— მე? ჩემი საყოფი აქანაიც ქეა! გუშინ ერთი არ დამიცილებია, სულ ორი და სამი ვარდებოდა..

— როგორ, ერთ სროლაზე?!

აბა!—ა! რომ შევაყოლე უთენია, ზარალობამდე სამი ჩანთაი გავავსე—მონადირე ტყუილს არ იტყვის..

გადავიდნენ ყანაში... გავარდა ძაღლები...

ქიცი-ქუცი, ცივი-ცუფი-გაჰქონდა ძაღლებს გვიმარში. ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ არა—მე, არა—მე წამოვაგდებ პირველ მწყერსაო!!

ნაკაშიძემ მოამზადა მიმინო—სევასტიამ შეაყენა ჩახმახი.

— შარშ! ეცი, ეცი!! ღრიალებდა თავადი..

— მიდი, მიდი-ო, ბრინგვაიტ! არ შემარცხვინო! გასძახის სევასტი.

წამოაგდო მწყერი გიშერამ—გადავარდა მიმინო, მოუსვა ნაკაშიძემ.

ეისვარა ძაღლები...

ტრრრ,—მეორე მეწყერი, ტრრრ,—მესამე... ბაც—გავარდა თოფი... შეიქნა ყვირილი ერთი უბედურება... მიმინო სამმა ჩარჩმა იმსხვერპლა...

დაფაცურდა ძაღლები—იშვა მწყერი.. ტრრ,—ავარდა—ტრრ.. ერთი აგერ ჩაჯდა!!

სევასტიამ შეატყო,—გლაბათა საქე, მოუსვა—მირბის. უკან მისდევს დიდის სარით ცოცხალ მკდარი ნაკაშიძე... შეასწრა ალაგზე, უთაქა—უთაქა, მისცხო და მისცხო, ღრიალებს სევასტიეი, ბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშპა ხელიდან, და მოკურცხლა ღელის პირზე—უკან არ იხედება...

დარჩა ნაკაშიძე. ელიო გაფშიკებული მიმინო და მოსთქვამს:

— უბედურო, ჩემო თავო, ყოვლად წამხდარო და განიჭებულო, რაღა გეშველება ახლა, რამდენი ჭუჭული უყლინწია! არ გამიშვია ჩემს ბარაზე. რაც რომ ქათამი იყო, რამდენი ხორცი ვანაცვალე! დღეში ათი შაურის არ ყოფნიდა... რამდენი მოვლა, ღამის თევა, მომკლავს ეხლა კესარიე..
არ ქე მეუბნებოდა, ნუ მიხვალ დღეს ჭაჭვეთობაო, მარა ვინ დუუჯერა...

და ასე ამ ნაირად დეევიღუპე პატიოსანი თავადიშვილი!!

ვასო ურუშაძე



ილია ჭავჭავაძე.
(დაბადებიდან 70 წლ. თავის გამო).

ამხანაგო, გულს იმედი.

ამხანაგო, ნუ შედრკები,
მზე სხივებს ჰფენს არა-მარეს;
და შავ-ძალას ამ ქვეყნიურს—
ის გაუთხრის ცივ-სამარეს!
მოსპობს ქვეყნად საზიზღრობას,
კაცთა ჩაგვრას ის გააქრობს;
და ქვეყანას, ბედით ჩაგრულს,
ააყვავებს და გაათბობს!
ამხანაგნო, გულს იმედი,
ძალა—ძალას გაუსწოროთ,
საზიზღარი კაცთ-მჩაგვრელი
სულ მიწასთან გავასწოროთ!

საშა გოთოშია.

ქუთაისის რამე—რუმე.

— ქუთაისის აფთიაქების მოწაფეებს მიტად ხელსაყრელი აღებ-მიცემობა დაუწყიათ... ძველი მოწაფეები, პრაქტიკის გათავების შემდეგაც ,კი ისე არ უთმობენ ადგილს ახლებს, თუ რომ მათგან ორას-სამასი მანეთი არ აიღეს „სესხად“ (ასე ამბობენ თვითონ, თუმცა თამასუქის მიცემაზე კი ცივს უარს ეუბნებიან!) ამგვარი „სესხის“ აღება „მსესხებელთ“ თურმე სრულიად უზნეო საქციელად არ მიაჩნიათ, რადგან რუსეთში წასასვლელად ფული ეჭირვებიათ.

— ქალაქის გამგეობას—ხარჯების შესამცირებლად, უკანვე გაუტანებია დურგლისათვის სასკოლო მაგიდები. მოწაფეები, ზეპირი გაკვეთილების დროს, სპარსულად ფეხმორთხმული სხედან, თურმე, იატაკზე; წერის გაკვეთილებზე კი სტოლის მაგივრობას ამხანაგების ზურგი ეწევა: დაჩოქილ მოსწავლეებს ერთი-მეორის ზურგზე დაუდვიათ რვეულები და ისე სწერენ. ამ საცოდაობის მნახველი დურგალი, თურმე, ეხვეწება ქალაქის გამგეობას, ფულს დაგ ცლით, თუ ამ ჟამად არა გაქვთო, მაგრამ ქალაქის გამგეობა არ შვრება: ერთობ ჟინიანია!..

— ქალაქის სასკოლო კომისიას, რომლის წევრადაც რამდენიმე გამოცდილი პედაგოგი ითვლება, სასტიკი ეგზამენი დაუჭერინებია მასწავლებლებისათვის და, გამოცდის შემდეგ, სამი კაცი წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის, დასამტკიცებლად. უკანასკნელს წარდგენილი კანდიდატები არ დაუმტკიცებია, რადგან კომისიის მიერ მოხდენილი გამოცდა საკმაოდ არ დაუნახავს და უკანვე მოუთხოვია ყველა საქმეები, რომ მასწავლებლებს ეხლა თვითონ დააჭერინოს ეგზამენი... ნეტა სხვა მიზეზი ხომ არაფერია მასწავლებლების დაუმტკიცებლობისა?

— კრამოლის ძირიან-ფესვიანად ამოსაფხვრელად, მთავრობამ, სოფლის საზოგადოებათა ხარჯით, დარაჯები („სტრაჟნიკები“) დაიქირავა, რომელთაც დიდი სარგებლობა მოაქვთ სოფლებისათვის: თუ სადმე დროს ტარებაა დანიშნული, ისინი მიუცილებელ (თუმცა დაუპატიჟებელ) სტუმრებად ითვლებიან; მეტად გულმოდგინედ ჰყარაულობენ სოფლის ქალებს, როგორც ქალიშვილებს, ისე ქმრიანებს; ძლიერ ეხმარებიან ვაჭრობაში მედუქნეებს (გამვლელ-გამომვლელს ძალად აპატიჟებინებენ თავს და დუქანში ფულს ახარჯვინებენ). ხშირად სახლებს ათვალიერებენ და ასუფთავებენ იარაღისა, ოქრო-ვერცხლეულობისაგან და სხ. და სხ. და სხ.

— ცნობილი ექიმი ხ—ოვი, რომელიც „ერთობის“ დროს მოისოციალისტებდა და „საწყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა ხალხის“ ინტერესები ეკერა პირზე, რეაქციის გაძლიერების შემდეგ, ისევ ძველ გზას დასდგომია: დაუყენებია თავის სახლის წინ ვიღაც წელხანჯლოსანი მხეცი, რომელიც უწყალოდ სცემს და ლანძღავს სოფლიდან სავაჭროდ ჩამოსულ გლეხებს, სახლის წინ, ქუჩაში გაჩერებისათვის. ამას თავის თვალით ხედავს „ხალხის მოყვარე“ ექიმი, რომელმაც, როგორც ხმოსანმა, ძლიერ კარგათ იცის, რომ ქუთაისის ქუჩები მოედნების მაგივრობას ასრულებენ, მაგრამ, დატუქსვის ნაცვლად კიდეც აქეზებს თავის ერთგულ მსახურს, რომ „სულ ცხვირპირი დაამტვრიოს ამ მამაძაღლებს“.

— დიდის ამბით გაიხსნა ქუთაისში მეორე კლუბი, რომლის წევრებს სულ დახასხასებული არისტოკრატ-ბიუროკრატ-ინვალიდ - პენსიონერები შეადგენენ. კლუბის სულის ჩამდგმელად ითვლება თავადი დ. ვ. ნ—ძე, რომელმაც ძლიერ იაფად (მხოლოდ 2000 მანეთად!) აშოვინა კლუბს თავისი ძმის, დიდი ხნის გაუქირავებლად დარჩენილი, სახლი.

ნემსი.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი საქართველოდან



კარლო ჩხეიძე

შანტაჟისტების მარსელიოზა.

—

მაღლა ავმართოთ „პენსტი“,
ვთხლიშოთ წერილსა გულში,
მერე წავიღოთ დიდებით,
ჩაუშვათ ფოსტის ყუთში!
მიუვა კუბო ნახატი,
ფიშტო: ყუმბარა მრგვალია,
მივწეროთ: მოგვცემ—რა კარგი;
არა—ხელთა გვაქვს ხმალია!

მიძახილი }
აბა, ძმებო, „პენსტი“,
თამამათ,
ვკრათ, დავკრათ, გადავკრათ!

მივწეროთ დამუქრებითა:

ამასა გწერავს „პარტია“,
გვინდათქო „მოძრაობისთვის“
ეს სალოცავი ხატია!
მერე ჩავმწკრივდეთ ეტლებში,
მით „ვიმოძრაოთ“ ქუჩებზე,
არ გაშრეს ღვინო წითელი
ლამაზ ძმა-ბიჭთა ტუჩებზე!
მაშ, გმირნო, ხავერდის შალვრით,
ქუდებით ბოხოხისათ,
მზათ გვქონდეს პენსტ-ქაღალდი,
როცა დაჩუტდეს ქისათ.
აბა, ძმებო, პენსტი,
თამამად
ვკრათ, დავკრათ, გადავკრათ!

რიგოლეტო.

პროვინცია.

თელავის ქ. „ზავედენიაში“.

ნაჩალნიცა. (პირველ ბავშვს) შენ რა გვარი ხარ, პატარა ქალო?

— პ...სა.

ნაჩალნიცა. (მასწავლებელ ქალს) რა მშვენიერი თვალები აქვს! მოდი, აი, აქ დადექ ჩემთან. (მეორე ბავშვს) შენ რაღა გვარი ხარ?

— ჯ...სა.

ნაჩალნიცა. რა ლამაზია, ეს გოგონა! მოდი, აი, შენც ამასთან დადექ. (მესამეს) შენ?

— ყ....სა.

ნაჩალნიცა, აა, ველარ გიცანი! მოდი შენც

ამათან. (მასწავლებელ ქალს) ამათ თითქმის არც კი უნდა გამოცდა; მე ამათთან ხშირად დავიარები. თქმა არ უნდა კარგათ იქნებიან მომზადებულნი. (მეორე მასწავლებელ ქალს) ეს ბავშვები შეიყვანეთ სასადილო ოთახში და განკარულება მიეცით— დაანაყრონ, თორემ ამ დროს ესენი ჩვეულნი არიან და ვაი, თუ მოშივდეთ. (მეორე ბავშვს) შენ რაღა გვარი ხარ?

— გემარლიყძე!

ნაჩალნიცა. უჰ, რა ძნელი გამოსათქმელია! (მასწავლებელს) თუ ვინცობაა ეს მეორეში იჭერდეს ეგზამენს, მესამის პროგრამა ჰკითხეთ, რადგანაც ეხლანდელი ეგზამენი „კონკურსნია“ (მასწავლებელი ქალი უჩვენებს მეხუთეზე)

შესანიშნავი ქანდაკება.

ზღვის პირას, მოლოდინში—ყირარდასა.

მასწავლებელი ქალი. აი, ესეც მეორისთვის არის, ვითომ მომზადებული, მაგრამ გამოცდის დროს ძალიან უხეიროთ გვიგებდა პასუხს.

მესამე მასწავ. ქალი. რომელია უხეიროთ მომზადებული რას ამბობ, ქალო? ეგ ხომ ჩემი მომზადებუია? ეგ არის უხეირო?

პირველი მას. ქალი. დასწყევლოს ღმერთმა, მე რაღამ გადამაყრუა! არა,არა, ამან მშვენივრათ დაიჭირა ეგზამენი, მე სულ სხაზედ წავედი. (ამ დროს შემოდის ქალბატონი ფულოვისა)

ქ. ფულოვისა. თუ შეიძლებოდეს გაარკვიეთ, ჩემი ქალი გადავიდა შემდეგ კლასში, თუ არა?

პირველი მას. ქალი. არა, ვერ გადავიდა, ჩაიჭრა!

ფულოვისა. ქა! გესმით? თითონ „პერეგზამენოვკა“ დაუნიშნა, თითონვე მითხრა, თუ გინდა რომ გადავიდეს—მე მომამზადებინეო. თვეში კარგი ოთხი თუმანი მართო, რაც ამათ ფერ-უმარილი უზიდე ის სხვა არის, პირობა მომცა უეჭველათ გადავაო და ეხლა ისევ ჩაიჭრა? ეს კარგი ფური მნახეს საწველად!!

— გირჩევთ ყველას, სინდისის და პატიოსნების დაცვაში, თელავის ქ. „ზავედენიას“ მიჰბაძოთ.

დ—ო.

—

შუა ქართლი. შავ-რაზმელებმა თარეში განაგრძეს, მაგრამ... არ ჩამოუვარდებიან ვარჯიშობაში „წითელი რაზმელებიც“. ისინი ახლად გამოჩეკილი „აკრობატები“ გახლავან, ღვთის წყალობას ქარ-ცეცხლის ალმურში ატარებენ. უკეთუ თქვენ ფეხი გარეთ დაგრჩათ, იცოდეთ, რომ „ჩეკმას“ გაგხდიან და ისე საღათას ძილს მიგცემენ... გაძვალტყავებულ გლეხებზე იერიშები მოჭარბებულია, ვინაიდან ჩვენში მუდამ დღე „ცუსიმას“ ბრძოლაა. ყველა რეაქციონერები ყუმბარებს ღარიბებს ესვრიან, არ გაჩნიათ მათ არც მტერი და არც მოკეთე. უმავთულო დეპეშით თავს გვესხმიან „სტრაჟნიკები“, მაგრამ... შემთხვევით მათ ცელქი ტყვია უმასპინძლდება ხოლმე.

ჭილყვავი.

—

ქ. გორი. ციხიდან გაანთავისუფლეს ცნობილი ყაჩაღთა ბრბოს „ბელადი“—ტატო; მას აღუთქვეს: „პრემიად“ მოგცემთ „გუგულის“ თავს, ოღონდაც კი შენ ქარ-ცეცხლი მიე შენს დამაწყევარსაო. ბატონი ტატოც დაიმედებულია თავის საგმირო საქმის შესრულებაზე, მაგრამ... შეასრულებს თუ არა, ეს ალლახმა უწყის.

ჭილყვავი.

—

ცხინვალი. ჩვენ ისეთი რეაქციონერები ვართ, რომ ჩვენში „სოციალისტ ჭიანჭველასაც“ კი ვერ გაუვლია. ჩვენი შიშით თვით „ბაში-ბუზუკებიც“ კი ქედს იხრიან. ჩვენ ვართ ის ვაჭბატონები, რომლებიც მუდამ დღე თავისუფლათ დავსეირნობთ ბურჟუებზე. რას გვიქვიან სოციალიზმი, როდესაც იგი ვერ გაგვიხორციელეს ჩვენმა არ-ცხონებულმა „პოდლოს-სტეპკოებმა“? „ნეკ-ნაღველა“ ხომ „გუბერნატორათ“ აღარაა, და ველარც მოითხოვს მუ-

შებისთვის გაყვლეფ-გაგლეჯას. დღეს თავისუფლებაა ჯაშუშობის და თუ ვინმე დაგვიდგა წინ, ახსოვდეთ, რომ ჩვენ მათი მოსისხლე მტრები ვართ. გვსურს ის, რომ ჯიბეები დავისქელოთ, ქონი მოვიკიდოთ და... „პოლიციაში“ ვიმსახუროთ.

ხელს ვაწერთ: . . . . . , სანდრო, „კნიაზი“ და სხვანი, რომლებიც ულსწავლელობის გამო ხელს ვერ ვაწერთ.

—

ჭილყვავი.

ფოთი. სანიტარულ კომისიამ გამოსცა შემდეგი ბრძანება: 1. სადაც არხები არაა გაყვანილი, დაევალოს თვით მცხოვრებთ—თავიანთ ხარჯზე გაიყვანონ; 2. სადაც არხები გაფუჭებულია, მათვე უნდა გააკეთონ და გაასუფთაონ; 3. სადაც ბოგირები არ არის, თავის ხარჯით უნდა გააკეთონ მცხოვრებლებმა; 4. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, დაჯარიმებულ იქნება. ახირებული განკარგულებაა. თუ-კი თვითმართველობის მოვალეობას არ შეადგენს ყველა ზემოხსენებულ საქმის გაკეთება, მაშ რაღად ახდევინებენ მცხოვრებთ ათასგვარ „ნალოგებს“?!.

ცოტა რამ ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ. ერთად-ერთი ბიბლიოთეკა გვაქვს „შფოთში“ და ისიც უხეირო. მართლა, რომ იტყვიან არხაიული დროაო ისაა. რამდენიმე გაზეთი, ცოტა ჟურნალები და მეტიც არაფერი. ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, მაგრამ რაც მოიპოვება, ბიბლიოთეკარის წყალობით, მტვერშია ჩაფლული. ბიბლიოთეკრის წყალობით ხშირათ ჩხუბიც კი მომხდარა ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკას ინტელიგენტები განაგებენ, მაგრამ რაში გამოიხატება მათი ინტელიგენტობა, ან მოღვაწეობა?!.

სოგია.

—

ჯიხაიში. (საინტერესო მიწერ-მოწერა). ეპისტოლე ჯოჯოხეთიდან ჯიხაიშლებს: ტყუილა უბრალოთ ჩაიარა თქვენმა აუარებელმა ხარჯებმა და ცდამ, რომ მე სამოთხეში მივეღე! პირიქით, როგორც ხედავთ, ჯოჯოხეთში მიკრეს თავი ღა პასუხის გებაშიც მიმცეს. მაბრალებენ—თითქოს მე სხვისი ფულით, სხვისი ხელით და სხვისივე სახელით რაღაც დიდი ბოროტება ჩამედინოს. ყოველ დღე ცეცხლის ალში მწვავენ. ჩემი მდგომარეობა აუტანელია. მიშველეთ რამე! უპირველესად კი გამომიგზავნე ორი ქალი: ვ—ა და გ—ო, ისინი მოხერხებული დედაკაცებია, და, როგორც ყოველთვის, ეხლაც უვნებლათ გამომიხსნიან, მით უმეტეს, რომ ეს ბრალდება მათაც შეეხება.

თქვენი ერუგული მონა-მორჩილი შვილი სვიმონ —იანი.

ეპისტოლე სამოთხიდან ჯიხაშლებს: აქ ჩამოვიდა სვიმონ —იანი, რომელიც ალექსანდრე მღვდელს გაენდო და აღიარა ყველა ის ფაქტები, რომელნაც მე მას ვაბრალებდი და თქვენ კი ვერ [illegible] გეთქვათ. მღვდელმა ეს კრებაში გამოაცხადა, რამაც მიცვალებულები ძლიერ ააღელვა. ამის გამო ეხლა აქ დიდი ამბები ხდება; მიტინგები და კრებები ზედი-ზედ იმართება და სხვა და სხვა რეზოლიუციებს ადგენენ... იმედია, აქაურ მიცვალებულებთან ერთათ, მანდაური ცოცხლებიც მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ და მით ღირსეულ სასჯელს დასდებენ ულირსს შვილს ჩვენი ქვეყნისას.

თქვენგან მოძულებული და დაუმსახურებლათ დასჯილი დათიკო.

ს. დიდი ჯიხაიში. დავასაფლავეთ დიდებული და ღვაწლმოსილი გვავი. მისი ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ მან სიცოცხლითვე დაიდგა თავისივე ხელით მოჩუქურთმებული ძეგლი, ასეთის წარწერით: ლოდსა ამასა გვეშე განისვენებს სვიმონ —იანი მოყვარული ქმრიან ქალებისა, მათი ქონებისა და, იმავე ქმრის უბედურებაზე, თავის ბედნიერების აშენებისა.

ექსპერტი.

პოლიტიკური ფერხული

კადეტს, ესდეკს, ოქტომბრისტებს
ტრუდოვიკებს, ხულიგანებს,
ფერხული აქვთ და ერთმანეთს
უკოცნიან ლამაზ თვალებს.
ესერი კი შორს გამდგარა,
გულმოსული გამწყრალია,
არ ერევა მათს ფერხულში,
ცეკვისათვის არ სცალია!

ქარაფშუტების სიმღერა.

(ვუძღვნი ზოგიერთ ახალგაზრდებს).

ადსდეგ, გმირთ-გმირნო, ნუ გძინავთ,
კეკლუცთ ისმიან ხმანია,
აღიღეთ ხელში „ღიტარა,“
დამღერეთ ტკბილი ხმანია.
მედგრათ ებრძოლეთ სიმართლეს,
მოსპეთ კეთილი ქვეყნადა;
ცხოვრების მიზნად—ქალები,
ფული კი—ჰსახეთ ღმერთადა.
ფულია ღმერთი, სამოთხე,
ტურფანი-ბაღი ედემის,—
თუ ერთიცა გაქვს, მეორეც,
განა მას სხვა რამ ედრების?
ადსდექით, გმირნო, ადსდექით,
ჩამოიბერტყეთ ყურია,
დაჰგმეთ სიმართლე, ამეფეთ
მტრობა, ღალატი, შურია!..
ვინც კაცი არის,—ან თავი
თუ მიაჩნია კაცადა,—
უნდა მიაჩნდეს სიმართლეც
ცხოვრების იდეალადა.—
თქვენი იდეა, გმირებო,
ქალები, ფული, კუჭია;
სხვა კი, ყოველი თქვენთვისა
უმნიშვნელო და ფუჭია.

გ. ლადოშვილი.

ყბად-ასაღები, წყალ-წასაღები.

—

ახილი ამპლუა. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მოსდის საყვედურის წერილები, რომ ახალ მოძრაობის პიესებს არა სდგამთ, რადგანაც არა გყავთ სოციალ-დემოკრატთა, ფედერალისტთა, ანარხისტთა და სხვათა როლების აღმასრულებელნიო და სთხოვენ გამგეობას მოკლე ხანში დასდგას სადებიუტოდ შესანიშნავი თანამედროვე ისტორიკულ-ტრადიკულ-კომიკურ-სოციალ-დემოკრატიულ-დემოკრატიულ-ფედერალისტურ-ანარხისტული ყოველდღიური ეფექტებიანი პიესა „პოლემიკა“.

დებიუტანტებად ასახელებენ: ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძეს, ნ. აზიანს, ეშმაკს—ი. ევდოშვილს, მ. ად—ლს, არ. ჯაჯანაშვილს, ფენიქს, Baton-ს და სხ. გამოცდის შემდეგ საუკეთესო დებიუტანტებს მიანიჭებენ პრემიერობას.

—

„გოლოს კავკაზას“ რედაქციის მდგომარეობა. სანიტარულ კომისიას დაუთვალიერებია „გოლოს კავკაზას“ რედაქცია და დიდი სიბინძურე და ნაგავი აღმოუჩენია. კომისიას მიუცია წინადადება რედაქციისთვის, რაც შეიძლება მალე გასწმინდეთ თქვენი ბუნაგი ყოველგვარ სიბინძურისაგანო. ამასთანავე კომისიას დაუდგენია, რედაქტორ-გამომცემლიდან დაწყებული, უბრალო მოსამსახურემდე, ყველას გაუკეთოს დეზინფექცია, რადგანაც შესაძლებელია იმათგან გამრავლდეს ათასგვარი ანტიზნეობრივი ბაცილები „პოგრომებისა“ და ბევრს უდანაშაულოთ მოუტანოს ზიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თავშესაფარი. რადგანაც საზოგადოებას დიდ ხანს სჭირდება ლოდინი ტრამვაის ვაგონებისა, გარეთ - ცისქვეშ, ავდარსა და წვიმაში, ამიტომ ტრამვაის დირექციას დაუდგენია საჩქაროთ გამართოს ყოველ სადგურზე დასაძინებელი თავშესაფარი სასადილოთი და პატარა ქსენონით, კონკის ლოდინში დაღლილთა და დაშავებულთათვის. ამ გვარათ მგზავრებს შეუძლიანთ თუნდ მთელი კვირა უცადონ კონკას, და თავიდან აიცილონ ის უსიამოვნება და უბედურება, რომელიც დასურათებული იყო ნიშადურის მერვე ნომერში.

მკითხავის წინასწარმეტყველება. ეს-დეკების „მენშევიკურ“ ფრაქციას უკითხვინებია მკითხავისთვის თავიანთ ორი დეპუტატის ბედ-იღბალზე და შემდეგი პასუხი მიუღია: თქვე დალოცვილებო, საქართველოს ციხეები არ მოგწონდათ, რომ პეტერბურგს არ გაგეგზავნათო?! ვინძლო და ვინძლო ჩქარა პარაკლისი გადაუხადოთ „ჩვენი გზის“ რედაქციაში, სამი ღამე უთიეთ, იმარხულეთ, სამჯერ ფეხ-შიშველა შემოუარეთ, მოინანიეთ ყველა თქვენი დემაგოგიური ცოდვანი და ყოფილ მამა-მღვდელ წერეთლის მადლი დაიფარავსო. თქვენი ორი დეპუტატი მესამე დუმაში თუ ვერას გახდა, თქვენ მაინც ხომ გასახელებთო. 23 ოქტომბრიდან უკვე შეუდგნენ მარხულობას, მაგრამ „უკარლოსოთ“ ვაი თუ ხშირ-ხშირად მოუხდეს მარხულობა სოც.-დემ. ორგანოს...

სოსიკო.

სამთა კავშირი.

სამნი არიან ჩვენ დროს გმირები,
სამივე ერთად ცას შეჰყურებენ,
და ღმერთსა სწირვენ დიდსა მადლობას,
რომ მათს ქვეყანას ანადგურებენ...
ერთი—მგზავრების გამძარცველია,
მეორე—სიყრმით პროვოკატორი,
მესამე—ენა-გრძელი ჯაშუში,
ქვემძრომიცაა და ორატორი.
სამშობლო მათთვის—ერის ღრმა ძილი
და უმეცრება იყო მარტ-ოდენ,
და დღეს, რაკი ხალხს გამოეღვიძა,
წელში გაწყვეტას მისას ღმერთს თხოვენ!
ხალხისა მტერნო, სიფლიდის ძენო,
იკმარეთ ცრემლი შრომის შვილების!
თუ ღმერთი არ გწამთ, ნამუსი არ გაქვთ,
შიში ხომ კი გაქვთ თქვენი კბილების?
ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს,
ერთხელაც არის გატყდება გზაზე...
სიმართლის ძლევა, ხალხისა წყევა
მალე მიგიყვანთ სამარის კარზე!..

**

ს ა ტ რ ფ ო ს.

—

შენი უმანკო, სპეტაკი სახე
აღევლებს ვით ზღვა ამ ჩემსა გრძნობას
როს დაგინახავ გული მიღელავს
და ჩუმად ვაფრქვევ საამო ცრემლსა,
რათ გაჩენილხარ ჩენ სატანჯველათ,
რათ გამიტაცე თავ დავიწყებით
რათ ააღევლე გრძნობა გონება
ერთის შეხედვით, ერთის შეხვდერით!?
მოდი, გენაცვა, შორს ნუ გარბიხარ
კმარა, ურწმუნო, გაიძეერობა,
შენ როგორც უნდა მომექცე საწყალს
ე' გული მაინც შენი იქნება.

ვერა დეისაძე.

როგორ „იქარხნება“ რეცენზენტი. ბედშავ ქართულ თეატრის რეცენზენტი ამ რეცეპტით იქარხნება: პირველად საჭიროა უსაქმური და უსუსური იყო. მერე ქართულ სცენას მოებღაუჭო—არტისტობა მოინდომო. ითხოვო „დებიუტი.“ რეჟისორს ჩამოეკიდო და თავბედი აწყეველინო. დებიუტის შემდეგ, უნიჭობის გამო, გამოპანჩურებულ იქმნა. მერე პიესების ჯღაბნა დაიწყო. საკმარისია დედა-ენა გავლილი გქონდეს, რომჩიქორთული ენით სთარგმნო და სწერო. როცა ჩიქორთულ ენითაც ვერ აცოცდები სცენაზე და ჭიტლაყსა ბკრამენ, უნებლიედ მალაყს გადადიხარ: რომელიმე რედაქციაში უნდა შეეუნცრუკდე და მუქთად ბაუწიო სამსახური. რედაქციაში აიღო ჭუჭყიანი კალამი და აწრიპინო: უნიჭობისა და ულონობის დორბლი ანთხიო „აქტრიცებზე“ თუ დაგიწუნეს, თუ მოგიწონეს ხოტბა შეასხა. რეჟისორი დატლინკო, რომ ნოჭ დარღვეული ნიჭი არ იწამა. აქეთ ეცე, იქით ეცე, თავი ქვას ახალო და შეიქნე რეცენზენტი... ცეტი... ცეტი!!

ფერი-ფერსა მადლი-ღმერთსა! საუცხოვო სანახავი იყო თფილისის საბჭო სამშაბათის სხდომაზე. გამოპანღურებული სალახის გმირი ფარსელა ვართანიანცი გამგეობას უჩიოდა: არ მიხედეს ჩემს დიადობას და საქმეთა საგმიროთათვის კუკუ მკრესო, არიქა მიშველეთო! და გამოჩნდა ვართანიანცინ მშველელი და ქომაგი ალექსანდრე არღუთინსკი: აღვადგინოთ ვართანიანცი და დავამხოთ გამგეობაო! (იგულისხმეთ ვ. ნ. ჩერქეზიშვილი) როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოს უმრავლესობა ბრანწით დაუხდა ვართანიანცს და მის ქომაგს არღუთინსკის. როგორც მოსალოდნელი იყო, სალახის გმირმა შეურაცხყოფის სიმწარე მოინელა, მაგრამ „ფოღი“ (ფულია სომხურად) მოითხოვა. „ფოღი“ ხომ იმის „ბოღია“, მაგრამ მაგარი ის არის, რომ არღუტინსკის ქომაგობა ცოტა არ იყოს ვერაგულია: ჭორად ამბობენ, რომ „საშა“ იმიტომ ამხედრდა „ვასოზე“, რომ ამ უკანასკნელმა „საშას“ ქალაქის თავის საჯდომი გამოაცალა და ძირს დასვაო...

რაც შეეხება ნ. ელიავას და მის დაჟინებას ვართანიანცის უფლებათა აღადგენად, ამას კაცი ადვილად გაიგებს: ელიავა ხომ ესდეკია და სოციალდემოკრატს განა შეუძლიან უწესოება არ შეიტანოს ყოველსავე წესიერში? მაშ რით დაამტკიცოს თავის სოციალისტობა?

სოსიკო.

თეატრი თუ დუქნები. ორშაბათს ქუთაისის ქალაქის თვით-მართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს წევრთა საგანგებო კრება. განსახილველია ბ. ბ. ჭილაძისა და ბაქრაძის პროექტი: „ქალაქის თეატრი უნდა [illegible] იქმნას დუქნებად, რადგან მაშინ მეტ შემოსავალს მისცემს ქალაქს და თვითმართველობის მოსამსახურეებსაც შეგვიძლია ჯამაგირები თავის დროზე დავურიგოთ“...

ამ პროექტის განსახორციელებლად ინიციატორები დიდ აგიტაციას ეწევიან მცხორებთა შორის და იმედიც აქვთ გაიმარჯვებენ.

ჭიდაობა ქუთაისის სცენაზე. კვირას 32 თებერვალს ქალაქის თეატრის სცენაზე, ამავე თეატრის კასის გასაძლიერებლად გაიმართება ჭიდაობა. იჭიდავებენ ვ. ჭილაძე და ერთი რომელიმე ქალაქის ბულშემატკივარი საბჭოს წევრი. იმედია ხელოვნების მოყვარული საზოგადოება დაესწრება ამ საინტერესო საღამოს.

გესლიანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(მიბაძვა აკაკისა „თაგვი და ღამურა“).

ერთმა ნასწავლმა ხუცესმა იუკადრისა ხუცობა;
დასწყეველა, თავისი მღვდლობა, ხუცებს დაუწყო მან
| გმობა:
იმ უსამართლო მთავრობამ ხუცათ რად გამაჩინაო,—
მე მსურდა დემოკრატობა, მან საყდრად მომცა ბინაო.
ვის ეკადრება ხუცებთან მუქთათ ჭამა და ლხენაო;
რომ მომცენ დეპუტატობა, მოვშორდებოდე ძმებსაო;
ამ ანაფორას გავიხდი, თავში ვახლიდი მღვდლებსაო;
მსწრაფლ წავალ სათათბიროში, დავიცავ საქმეებსაო;
ვილაპარაკებ, ვიდავებ, შევადგენ კანონებსაო“...

———

რომ შეასრულა ეს ნატვრა, ნახა, რომ კენჭი ეყრება:
ამოირჩიეს კიდევაც, ნახუცარს თავბრუ ესხმება;
ზიზღით შეხედა ხუცესებს, დაუყონებლივ გავარდა,—
მიემხრო დემოკრატებსა, ამანაც გაინავარდა;
მაგრამ იქ წასასვლელათა ხელში არ ჰქონდა გროშები,
რომ მოეპოვა ტან-ფეხი, ჩექმა-კალოში, ქოშები...
იფიქრა ნახუცარამა—ჩავიდენ ძალადობასა,
მრევლსა გავყლეფავ, ისევე მივმართმე ძველ მთა-
| ვრობასა;
მართლაც მიმართა შავ-ძალებს, მობოჭა დრამის ფუ-
| ლები,
ძალა იხმარა, საბრალომ, ეკონა დაკარგულები.

———

რომ გამოცხადდა „დუმაში“ სთქვეს: „ვინ მოსულა
| ესაო?
ეს ნახუცარი, საბრალო, ჩვენთან ვინ გააწესაო;
თვალ-ტანადობა კარგი აქვს, დეპუტატია ჩვენიო;
მაგრამ სიტყვა არ უვარგა, ჭირი არის და სენიო.
„ავტოკეფალას“ არ ეძებს, არც უნდა ავტონომიო,
მაშ რალა ჯანდაბად უნდა მარტო ულონო თავიო.
ეგება მტრებმაც მოგზავნეს, შემოჩენილიც იყოსო;
არიქა, ფრთხილათ იყავით, არავინ გაგვაბრიყვოსო;

უაზრო სიტყვა წარმოსთქვა, არ მოსასვლელი ჭკუაში,
სათათბირო დაიცალა, არავინ დარჩა „დუმაში“;
დაჟლივლეს, ყიჟინა დაჰკრეს,ააწრიპინეს კალმები,
მილანძლ-მოლანძლეს, საბრალო, ფეხში გამოკრეს
| სარმები.

——

საბრალო ნახუცარამა მიმართა ისევ ძველს სადგურს,
მაგრამ აქ უფრო შავი-დღე დაადგა მაშინ უბედურს:
ხუცებმა აითვალწუნეს, აღარ მიიღეს რომ ნახეს,
მივარდნენ გასალანძღავათ, „ძირს ნახუცარო“, დას-
| ძახეს...
მაშინ კი მიხვდა საბრალო, რომ ანგარიში წაუხდა;
და მისი ნატვრა უგნური საჭირ-ბოროტოდ გაუხდა;
გვიანღა იყო: მოშორდა გალანძღულ-გაწბილებული;
სამშობლოსაკენ მოკურცხლა და მოიბრუნა იქ გუ-
| ლი.—
მას შემდეგ სოფელში სცხოვრობს, სხვაგან ვერ ჩნდება
| სირცხვილით;
ეხლა კი ამბობს ამასა კვნესით და გულის ტკი-
| ვილით:
„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს
| ბარზედა;
საღმრთო მადლისა მოძულეს—ჭირი მოუვა კარზედა;
მღვდელი ნუ გასცვლის მღვდლობას, სხვას ნუ და-
| უწყებს კბენასა;
თორემ ბოლოს დროს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა
დენასა!
საღმრთო მადლისა მგმობელი ღვთაებისაგან კრულია:
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია.“

პიმპილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატთა მოგზაურობის გამო



უფროსი: დეპუტატების ხელუხლებლობა.

აი, გიცხადებთ, მალე ამ გზაზე
გამოივლიან დეპუტატები,
„ხელშეუხებელთ“ მოექეთ განზე,
არ განარისხოთ „დუმის“ ბატები!

თავისუფლების თავგადასავალი.

17 ოქტ. 1905 წ. — 17 ოქტ. 1907 წ.

17 ოქტ. 1905 წ.

მაღლა ფრიალებს წითელი დროშა,
ხალხი ბობოქრობს, ხალხს უხარია,
ისტორიაში ჩვიდმეტი რიცხვი
იმისი მზე და მისი მთვარეა!

17 ოქტ. 1907 წ.

ძირს ჩამოეშვა წითელი დროშა,
ესეც ჩვიდმეტი ოქტომბერია,
და ისტორიულს მათრახებითა
ხალხს აადინეს ზურგზე მტვერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალდი ჩეეფს, ქარავანი მიდის.

„ეშმაკის“ სიზმარი.

„ეშმაკმა“ სთქვა: საცა ვიჯდე,
ვერვინ მოვა ჩემზედაო.
„შურდულს“ ვიქნებ და „მათრახსა“
მარფალსა და მრუდზედაო,
რითგაჩობა დავიჩემე
ესდეკების ბედზედაო.
„ნიშადურის“ გამოსვლამდი
კარგად ვიყავ ფერზედაო;
მეტოქე რომ არვინ მყავდა,
მაგრად ვიდექ ფეხზედაო;
მეგონა, რომ ეს ქვეყანა
მე მეკიდა რქებზედაო,
ვფიქრობდი სულ ვატარებდი
წაწყმედისა გზებ'ედაო...
მაგრამ აწ კი მოვიყუნტე,
ცოტა გამკრეს გვერდზედაო,
სინათლეში გამიყვანეს
მე ნაჩვევი ბნელზედაო...
არა უშავს-ეშმაკი ვარ,
ეშმაკურსა ეშხზედაო
და ვიდრე კი ასეთი ვარ,
ძლევაცა მაქვს მტერზედაო.
რა ძნელია, უწესოდ ვსთქვა,
რაც რამ თქმულა წესზედაო!
რა დიდია, თეთრი შავად
გამოვფინო მზეზედაო!
საწალმართო უკულმართად
შევაწყო ტკბილ ხმებზედაო!..
ეშმაკი ვარ... ეშმაკურიც
ვიკი ხერხი ხერზედაო;
კაცთა ტომის სამაცდუროდ
გესლის ნთხევა გესლზედაო;
შურისა და მტრობის თესვა
აღძვრა ძმების ძმებზედაო!
მაშ, სხვა რა ვქნა? ნავაკი ვარ
ტარტაროზის წვერზედაო;
სიავისთვის მოვლენილი,
ნავთ'ს მსხმელი ცეცხლზედაო;
არც სანდო და არც გამტანი,
უგველესი გველზედაო;
მოხარული, მოღიმარი
სხვათა ურვა-ცრემლზედაო;
ჯოჯოხეთში განაჭედი
უგულობის გრდემლზედაო;
ურცხვ-უტიფრად მონადირე
ცოცხლებსა და მკვდრებზედაო...
ბოლოს ჯილდოთ მელის მიკვრა
ბელზებელის მკვერდზედაო,
და ასეთი ნეტარება
რად გავცვალო თქვენზედაო?!

ფენიქსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცრემლი.

I

თავ-გამოდებით, ვით მტკიცე გმირი,
იგი იბრძოდა სასოებისთვის;
მის ადსადგენად, მის დასაცველად
ბუკი დაეკრა მთელის ქვეყნისთვის.

ეს ხმა მედგარი, ბრძოლის კიჟინი,
ძილში ჩაესმა ერს მიძინებულს
და მრისხანებით გული აღუსო,
გასადაშქრებლად გამოდვიძებულს.

ვინ არის ურჩი, ამბოხის თავი,
რომ ჭგმობს ქვეყანას, მის ტაბიდს განცხრომას?!
ვინ არის ურცხვი, ხელი, თავხედი,
რომ წინადუდგა ძალიერთა ნდომას?!

დიდი ხანია ქვეყანა ძველი,
ცხოვრებით გაწვრთნილ-დაბრძენებული,
აღარ ეტრფის მას, რასაც ეტრფოდა,
რითაც ოდესღაც იო სულდგმული.,.

ძალა ოცნების, ძველად ძალიერი,
მას გაჭქრობია, ოდნადც არ ბუუტავს;
დღიურ ცხოვრების ყოველ ერთგვარი
მას აღრინდულად სულს არ უხუთავს...

აზრი თამამი, დაუცხრომელი,
მტერი სიმაღრის, თვით მოკრუნჩხული,
და რასაც ადრე გუნდრუკს უგმეგდა,
მის წინააღმდეგ გამკლავებულა...

დღეს ასზდაბრა ის დრო გიჟობის,
ოდეს ქვეყანა ერთის მიზნისთვის
ერთად სუნთქავდა, სძგერდა ერთგულად
და თავს აკლავდა მტერსა იმისთვის.

დიდი ხანია შესწყდა უიჟინი
და ხმის ტრიალი ბრძოლისა ველზე;
„ბრძოლა რწმენისთვის—საქმე საგმირო“
დღეს წაშლილია ქვეყნის დროშაზე.

დაკეცილია დღეს იგი დროშა,
დროშა ძველთა განათლებული,
დაობლებული, მტვერით მოცული,
ვით უხმარი და დავიწყებული.

აღგა ქვეყანა გზას ასზოგადოს,
ახალს არ ეძებს, ძველს, სახიფათოს,
და ეოველად-შემძლეს მხოლოდ მას შესთხოვს,
ეოფნა განცხრომით რომ წარემართოს...

II

მაგრამ რას დასდევს ამას მებრძოლი!
იგი რას დასდევს ქვეყნის განცხრომას!
განა აღძრული მაღალ აზრებით
უფთხის ქვეყნისა უმგვანო წყრომას?!

იგი შეებმის თვით სტიქიონთა,
თვით უკვდავ სულებს შეებმის, მეგობრად
და, სანამ გულში ჭეყვს ამიჩანა,
ის არ მოიხრის თავს სხვის წინ დაბრად.

ეკლის გვირგვინი ხვდა აწ მას წილად
და თავ-მომწონად ქვეყნად ატარებს;
ვით ნიშანს ქვეყნად გამარჯვებისას,
ცივს სიფლავშიაც მას ჩაეფლებს...

დეე, ურწმუნო აღამიანმა
მსხვერპლი ამგვარი სიგიჟედ იცნოს,
გაშმაგებულმა იწყოს ხარხარი
და დემონურად მწარეთ დასცინოს!

ეს სულ ერთია მებრძოლისათვის:—
ასე ეოფილა, ასე იქნება!
სხვის გულ-ცივობით და ურწმუნობით
მას მისწრაფებას არ დაუცხრება!..

მაშ, ბრძოლა! ბრძოლა! კმარა აწ ძილი!
ნადარა ყველას გამოადვიძებს,
დროშის ფრიალი, ხმლისა ტრიალი
თვით ურწმუნოსაც გულს აუტეკებს...

III

გათავდა ბრძოლაც... მტკიცე მებრძოლმა
ველარ დასძლია ურიცხვსა მტერსა...
აწ შებოჭილი ჯაჭვით, ომის ტყვე
მტრისგან მოელის შავს განაჩენსა.

ჯგუფ-ჯგუფად მოდის ხალხი მინდორზე
საშინელების საყურებელად;
თვით ქვეყნის თავიც იქვე ბძანდება,
უმკობს ამალა მხარს დიდებულად.

იქ აღუმართავთ ჯვარი იმისთვის,
ვინაც დაუფთხო ქვეყანას ძილი;
მოწამებრივად უნდა ჯვარს ატვან
ქვეყნის ამრევად მტრისგან ცნობილი.

გამოჩდა მსხვერპლიც: ჯარი ურიცხვი
გლოვისა ზარით მოუძღვის ტყვესა;
იგი ამაყად, მშვიდის ნაბიჯით
მიუახლოვდა თვის სამარესა.

„ეხლავ ჯვარს ატვით“!—ბრძანა მტარვალმა,
„შენთ მოაზრეთაც შეჭხედონ შენს ბედს!
„დროა, რომ მიხვდეთ ჩემს ძალიერებას,
„მიხვდეთ, როგორ ვსჯი მე შენებრ თავხედს“!

IV

დაღამდა... დასცხრა ღელვა ხალხისა...
მინდორს ფრიალოს შუქსა ჭფენს მთვარე,
ცვარს ავერცხლოვნებს იგი სასმოდ...
ნეტარებითა სთვლემს არე-მარე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ ღამისა ჯადო მხიბლავი
თვით განდეგილსაც გულს აუტოკებს,
გამოაფხიზლებს მას მწირობისგან,
მსოფლიო ტრფობით აამღელვარებს!..

V

ეგ ვინ არის, რომ მეუდროებას
არღვევს მინდორში კვნესით-წუხილით?
და გაანათლა მთვარემ ჯვარცმული,
ტანჯულს თვალები ევსება ცრემლით.

სული ჯერ კიდევ უდგა მიღურსმულს,
მაგრამ რად ჰკადრა ცრემლნი თვალებსა?
ნუ თუ აშინებს სიკვდილის წამი,
ან სინანულით გულს ულბობს მტრებსა?!

არა! მებრძოლი გმირად მოკვდება!
ეს არის ცრემლი მოლოდინ სა.
სიკვდილისა წინ დავიწყებულის,
დაობლებულის სიყვარულისა!...

მას ჰყავდა ქვეყნად ერთი ნუგეში,
ბნელთან ბრძოლაში გამმხნევებელი,
ღმერთა გულისა, მის ღვთისმშობელი,
ციურ ჰანგებით სადიდებელი.

სიკვდილის წინედ მას მოელოდა,
მისგან ელოდა დატირებასა;
მაგრამ სად არის? დამარცხებული,
ნუ თუ მანც მისცა დავიწყებასა?!

მტრებსა, იქნება, მან ბანი მისცა,
მათთან ეწევა მხირულებას?—
აი, ეს სტანჯავს ისედაც ტანჯულს,
ჰგვრის მის გულს სასოწარკვეთილებას.

VI

აჰა, გამოჩნდა:—ღმერთა შვენების,
თმები გიშრისა აყრია მხრებზე;
მიუახლოვდა ჯვარს—სასოებით
და დაიჩოქა მის წინ მუხლებზე...

„გული მიჩვენე, გული, ბედ-შავო“!—
მას გარდმოსძახა ჯვრიდან ჯვარცმულმა,
და ტიტველს გულზე ცრემლი ობოლი
გარდმოადვენთა დაშვიდებულმა,

„გთხოვ, შემინახო გულის სიღრმეში
„ეს ჩემი ცრემლი უკანასკნელი
„და მას გარდასცე, ვინც ჰბოვო ჩემებრ
„დაუცხრომელი, ქვეყნის აღმძვრელი“!

VII

დილის ვარსკვლავი—დღის წინმორბედი
ცაზე ძლივს ბჟუტავს, ნელ-ნელა ჰქრება...
ცვარიანს მდელოს დილის ნიავი
ნაზად, სამოდ ეთამაშება...

ეთამაშება იგი ჯვარცმულსაც...
მაგრამ ჯვარცმული ვერ გრძნობს სიამეს;
მხოლოდ ის ერთი არ აძლევს ბანსა
გამოღვიძებულ აწ არე-მარეს...

ვლ. პონტელი—ჩიქოანი.

გზა სამოთხისაკენ.

ან მირონცხება წმინდისა მის სოვდაგარისა, ანუ „აჩეიკაში“ შესვლა და აგრეთვე წინდაცვეთა და ალკვეცა მისი:

— იჯმნი დაშნაკცაკანისაგან?!
— ვიჯმნი!
— იჯმნი ფედერალისტთაგან?!
— ვიჯმნი!
— იჯმნი ავტონომისტთაგან?!
— ვიჯმნი!
— განაგდებ სატანათა და ძმათა მისთა?
— განვაგდ ბ სატანათა და ძმათა მისთა!
— შეუდგები მარქსსა?!
— შევუდგები!
— და გრწამსა იგი?!
— მრწამს, ვითარცა უფალი და ღმერთი!
— ფუ „ეშაკო“!}
— ფუ „ეშმაკო“ {სამ გზით
— გამოიღებ ქანქარსა?
— გამოვიღებ!
— მაშ, დაიჩოქე ლოთიანათ!

— დაჩოქილვარ!

— ლოცვითა მამისა ჩვენისა და სახელითა მისითა მირონცხებულხარ, ნათელღებულხარ, შეწუხებულხარ, განბრძენდილხარ, გაბერილხარ, განწმენდილხარ, გაწევრებულხარ, შეწერებულხარ, გაპროლეტარებულხარ! სახელითა მარქსისათა და სულითა ისიდორეისათა და სხვათა წმინდათა ძმათა მისთა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ! ალილუია!

(ხორო იმღერის: „აქსიოს“! ხოლო მუტრიბთა გუნდი გალობს კულისებში).

შავრაზმელთა ლიტანია

1. პროცესიის მოლოდინში. 2.—მოდ ან.
3.—პროცესიის ნახარი.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

განცხადება

ამ ნომერთან ერთად ეგზავნება ხელისმომწერთ

ნეიშელერის რეზინის კალოშების განცხადება.

ვთხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ გაზეთის გამყიდველებს განცხადებაც.

ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი კარიკატურებით

„ნიშადური“

პროგრამმა:

1) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარგარედ. 3) ფელეტონები ლექსათ თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილიუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირ-ვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

ფასი: წლით **5** მ. $^1/_2$ წლით **3** მ., **ცალკე № 10** კ.

ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო ჟურნალის ბედ-იღბალი გამოურკვეველია.

საჭირონი არიან

პროვინციიდან პირიანი აგენტები და მხამიანი თანამშრომლები.

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**
მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа.
რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ., № 9, ვერაზე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული სახლი მუხრანსკისა, № 1.